№ 22 | 1865 წ. ნოემბრის 15 | № 22

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბარება შეიძლება ტფილისითგან: ი. კერესელიძის სტამბაში. კუკიას, საკუთარს სახლში.

# გუთნის-დედა

გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ. ფასი ცისკარზედ ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი, ხოლო სხვათათვის ორი მანეთი.

## მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

### გრენაჟის მოქმედება აბრეშუმის შემუშავება-ზე ნუხში.

იმ დღითგან, რა დღითგანაც ეს მხარე შეუერთდა რუსეთს; მთავრობა ცდილობს იტალიის ჯინშის აბრეშუმის ჭია გაამრავლოს ნუხში, მაგრამ ვერა მეცადინეობამ ვერ მოიყვანა ეს განზრახვა შესრულებაში. ისე შეჩვეულები არიან თავიანთ მამა პაპათაგან დაწესებულს ადათს, რომ თითქმის ცოდვათ მიაჩნიათ შესცვალონ ის წესი. ამასთანავე დიდად ეშინიანთ, ვაჲ თუ სარგებლობა ვერა ვნახოთრაო. მაგრამ იმ დღითგან, რა დღითგანაც ევროპიელებმა გრენაჟი შემოიტანეს ნუხში, აქაც გამრავლდა იტალიის ჯინშის აბრეშუმი. თათრულის ჯინშის და იტალიის ჯინშის შუა დიდი განსხვავება არის. ახლა რომ დაინახეს ევროპიელებისაგან ამ ჭიის სარგებლობა, თვითანაც გააჩინეს, იტალიის ჯინშის პარკები ახალში იყიდება ორ თუმნათ ან თვრამეტ მანეთათ; მშრალში სამ თუმნათ, ან სამ თუმნათ და ორ მანეთათ, ამას გარდა ამ ჯინშისას ყველა ევროპიელი ვაჭარი ეტანება თათრული. ჯინშის პარკი ერთ თუმანზედ მეტად არ ფასობს, და რვა მანეთზედ დაბლაც არ ჩამოდის; ცხადათ სჩანს სარგებლობა და იმედი არის მოკლეს დროში მთელს ნუხის უეზდში სულ ამის ჯინშის ჭია იქნება გამრავლებული.

აი კიდევ ევროპიულმა ვაჭრებმა რა სარგებლობა შემოიტანეს ნუხში, აქ შედგა ორმოცამდინ კამპანია, ეს კამპანიები აბრეშუმით ალებ-მიცემობენ, სახლები აქვთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაჭერილი, ქირას აძლევენ ას თუმნამდინ, იმისთანა სახლი არ არის, რომ ოც და ათ თუმანზედ ნაკლებ იყოს გაქირავებული. ადრე სახლებს იქ ფასი არა ჰქონდათ. ეს რომ ნახეს სახლის პატრონებმა, ბევრმა გააკეთეს, სულ ახალს არხიტექტურაზედ და ახლა სასიამოვნო სანახავიც კი შეიქნა ნუხი.

ზაფხულის დროს რამდენი ქვრივი ოხერი დედაკაცი შოულობს საზრდოს: მიდიან ამ კამპანიებში სამუშაოთ, ზოგი მუშუთა შვილით, დღეში ექვს შაურათ, ორ აბაზათ მუშაობენ და არჩენენ თავსა, აქამდინ ღარიბი თუ მდიდარი დედაკაცები ისხდნენ ოთხ-კედელს შუა და ჴელფეხს არა სძრავდნენ, ახლა ევროპიელებმა ისე წარმოვებას მისცეს ნუხი, რომ დედაკაცი თუ კაცი, თანასწორ მუშაობს და თანასწორს საზრდოს ფასს იღებს.

---

## ვაზის გასხვლა

(განგრძელება.)

ადრეული გასხვლა ის არი, რომელსაც შეუდგებიან ფოთლის დაცვივნის შემდეგ იმ დრომდის, როცა გაიღვიძებს მცენარე გაზაფხულის შემდეგ.

ორში ერთი უნდა იყოს მართალი: ან სრულებით უძრავათ არის ზამთარში მოზარდობის მალი ვაზისა, ანუ აქვს რომელიმე მოძრაობა, საჭირო მოზარდობისათვის; ან არ იქნება, რომ ზამთარს სისრულეში მოჰყავანდეს და გაამზადებდეს მომავალს მოზარდობის მოქმედებასა თვით სიცივის საშვალობითა.

ეს მარგებლობა ამინდისა, ოღონდკი სიცივე იქამდინ არ მივიდეს, რომ გაჰყინოს ვაზი, როგორც მოხდება ხოლმე ყირიმში და ჩვენშიაცა, ეს მარგებლობა ვამბობ, სრულად დამტკიცებულია ყველგან, სადაც ფეჩებით მოაშენებენ ვაზსა. თუ ყურძნის მოკრეფის და ფოთლის დაცვივნის შემდეგ ვაზი არ გამოიტანეს კარში და სიცივემ დაჰკრა, საკმაოდ, ჭლექდება და ხმება უნაყოფო. თუ მართალია რომ ზამთარში აწარმოებს ვაზში რომელსამე სასარგებლო მოძრაობასა და თუ ზამთარში სრულდება მოქმედება მოზარდობის მალისა, მაშ რათ ვართმევთ ვაზს იმ ჭურჭელსა, რომელშიაც სრულდება ეს მოქმედება, ესე იგი რათა ვჭრით უმეტესს ნაწილს რქებსა? ვინ იცის, იქნება მაშინ სრულდებოდეს და გროვდებოდეს ის სანოვაგე, რომელიცა აქვს პირველ საზრდოთ კვირტებსა, იქნება რომ ყველა რქებისაგან ჩამოდიოდეს მირკვებთან ეს სანოვაგე და აძლევდეს იმათ მოზარდობის მალასა. მე მინახავს რომ ვაზს ახალი ფერსოები გამოელოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარში; სხვათაგანაც ბევრჯელ გამიგონია ესე. ვინ არ იცის, ამას გარდა, რომ შემოდგომას დარგული ხე უფრო ხეირობს და ორი წლის მალს იმატებს მინამ გაზაფხულზე დარგული?

თუ ვთქვათ, რომ ვაზის მოძრაობის ძალი რჩება ზამთარში სრულად უმრავათ, არც მტოებში და არც ფესვებში არა მოქმედებს რა, მაშ რისათვისა ვსხლავთ ზამთრის წინ და არა ზამთრის შემდეგ? რადგანაც უშვებთ მხოლოდ რამდენსამე კვირტსა ნაყოფისა და მტოების გამოსაღებად შემდგომში, შესაძლებელია რომ ზამთრის განმავლობაში წახდეს ეს კვირტები რომლისამე ძალითა; თოვლითა, ყინვითა, ცივი წვიმითა და მზის დაკვრით ხდება კვირტი მოჭრილი წვერის ახლო, სადაცა რქის შუა გული არის გალღობილი და სადაც ტყავი არის დაჩეჩქილი; ჩასასხული ნაყოფი უფრო ადვილად ხდება ვინმე მტო, რადგანაც პირველი უფრო ჩჩვილია და უგრძნობელი. უეჭველად ამ თეორეტიკულ ჭვრეტას არ ექნებოდა არაფერი ფასი, თუ საქმე გვარწმუნებდეს, რომ შემოდგომით გასხლულ ვაზს დიდი ნაყოფი გამოსდიოდეს; მაგრამ სწორეთ წინააღმდეგს გვიჩვენებს საქმეცა. ადრეულად გასხლულ ვაზს გამოაქვს ბევრი მტოები და ცოტა ნაყოფი.

მაშ რათ არი საზოგადო ხმარებაში შემოდგომით გასხვლა? ამიტომ რომ ვენახის პატრონები იჩენენ საქმეს შემოდგომისაცა და უნდათ თავიანთი საქმე წინ წაავდონ; უჭირთ წალამი ზამთრისათვის; კიდევ იმიტომ, რომ გასხლული ვენახის დაბარვა ადვილია გაუსხვლელზედ, და რადგანაც მათ არ ესმით არც ვნება და არც სარგებლობა ადრე თუ გვიან გასხლული ვენახისა, არც დასდევენ გასხვლის დროსა. ერთხელ რაკი გაუსდიათ ჩვეულებათა, მერე ისეთი მიზეზი მოჰყავთ რომ არას გზით არ არის შესაწყნარებელი არც თეორიის მხრითა და არც პრაკტიკითა. ამ ხასით, ამბობენ რომ ადრე გასხვლა იმიტომ არი კარგი, რომ ვაზს წყალი აღარ დაედინებაო. მაგრამ საქმე გვიჩვენებს, რომ ადრე გასხლული ვაზი ისევე იდენს წვალსა, როგორც გვიან გასხლილი, თუ ზემო კვირტი არ შეასმა. მოჭრილი რქა არას დროს არა მთელდება და ყოველთვის იარად რჩება ასე რომ გიორგობას გასხლილი იწყებს წვლის დენასა მარტში.

მაშასადამე ადრეულა გასხვლას არა აქვს საფუძველი თუნდა კიდეც დავთანხმავდეთ, რომ ზამთარში ვაზის მოზარდობის ძალი რჩება უმრავად: მაგრამ ეს აზრი წინააღმდეგია ჭეშმარიტებისა.

რაკი სითბო ზამთრის დამდეგ ანუ პირველ გაზაფხულში ადის ცხრა ანუ თორმეტს გრადუსამდე და ამ ზომის სითბო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსწევს სამ ოთხს დღესა. მცენარის წვენი დაიწყებს მოძრაობასა და ადის მაღლა თუმცა გარედგან არაფრით შეიტყობა ეს მოძრაობა; თუ რვა დღე გასწია ამ გვარმა ზომიერმა სითბომა, მაშინ კვირტები ფუვდებიან და ხან და ხან იშლებიან კიდეცა. გაფუებაცა და გაშლაცა კვირტისა ჰსწარმოებს შინაგან წვენის მოწოლისაგან. და თუ მაგალითად აქვს ორასი კვირტი მაშინ წვენის მიწოლა თითო კვირტზედ იქნება ასჯერ სუსტი, მინამ მიწოლა ორ კვირტიან ვაზში, აქედამ ჰსჩანს, რომ უდრო დროთ გაშლა კვირტისა უფრო დასდევს გასხლულ ვაზს ვიდრე გაუსხვლელსა, ამაში ყველა დაგვეთანხმება, და მართლად ვაზს იმიტო სხვლიან, იმიტო ართმევენ უმეტესს ნაწილს კვირტებსა, რომ დანარჩენს მიეცეს მომატებული ძალი მოზარდობისა; რამდენიც მცირეა ვაზედ კვირტის რიცხვი იმთენი კვირტი არის ძლიერი და მოზარდი, მაგრამ ცხადია, რომ თუ ვაზსა აქვს საშვალობა მოზარდობის ძალის გამოჩენისა ზამთრის დამდეგამდე ანუ თვით ზამთარში, დიდი საშიშია, რადგანც თვით მცირე ცვლილება დარისა ადვილათ წაახდენს მოზარდს ვირტსა და იმასთან ნაყოფსაცა; ცხადად სჯობს, რომ ვაზს შევარჩინოთ რაც რქები და კვირტები გაუკეთებია წარსულს წელიწადს და იმით გადავარჩინოთ უდროთ მოზარდობასა. უდროოთ მოზარდობა კვირტისა იმიტო უფრო საშიშია, რომ არამც თუ წაახდენს ერთი წლის მოსავალსა, არამედ ხშირად შეიქმს ვაზს სრულად უნაყოფოთ.

კვირტში არის ჩასახული რამდენიმე მტევანი, რომელნიც არიან იმ რიგზედ მაკრეფილნი, როგორც გამოისახამს მომავალი მტო; ამ ჩასახულ ნაყოფსა და თვით მტოსაცა აფუებს წვენის მიწოლა; და თუ შეყენება ანუ უკან დაბრუნება წვენისა (დარის შეშლის დროს) არ აწყენს ბევრს მტოსა, ნაყოფს მაინც ახდენს სრულებით, იქნება იმ მიზეზით, რომ ჰსდება სანოვაგე ნაყოფისა შეკრებული თვით კვირტში.

ეს მოქმედება სრულდება ჩვენ თვალწინ ყოველ წელიწადს აპრილიდამ მოკიდებული თიბათვემდინ როგორც ვაზზედ, ისე ბალზე, ნუშზე, ატამზე და სხ.

რაკი დღეები დათბება და მზე გამოიჩენს ძალს, ხეები შეიმოსებიან, ყვავილებითა, შემდგომ ხშირად დადგება კიდევ ცივი დღეები; ხან და ხან ყინვამდინაც არ მივა სიცივე, მაგრამ დაძრული წვენი დაიწევს უკან; მერმეთ ხელახლად რო გათბება დღეები, წვენი ისევ აიწევს ზემოთ და გამოკვების მაგივრად ჩამოჰჭერის დამძრალ ყვავილებსა:

(დასასრული შემდგომ ნომერში იქნება).

Дозволено цензурою 1863. г. Ноября 15. д. Тифлисъ. Цензоръ Кантмазовъ.